Funded by
the European Union

განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა საქართველოში“

Implemented by
UNOPS

ევროპის
სკოლა
თბილისი

ევროპის სკოლა თბილისი - შეაბიჯე შესაძლებლობების სამყაროში

სკოლის მდებარეობა: **ლისის ტბა, თბილისი, საქართველო**
კამპუსი: **ორი მთავარი შენობა - აკადემიური და საცხოვრებელი (9,865 კვ.მ)**
გათვლილია 500-მდე მოსწავლეზე
სპორტული ნაგებობები:
რაგბის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები (5,260 კვ.მ)

განათლების რეფორმის ხელშეწყობა რეგიონში - საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირის სტრატეგიული პრიორიტეტი

Funded by the European Union

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლა საქართველოში **ევროკავშირის ფართო ძალისხმევის ნაწილია და ითვალისწინებს მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველყოფას მოსწავლეებისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან.**

როგორც განათლების რეფორმის მოდელი საქართველოში, სკოლა ხელს შეუწყობს ევროპულ ღირებულებებსა და საგანმანათლებლო სტანდარტებზე დაფუძნებულ მაღალი ხარისხის სწავლებას, მოსწავლეებისთვის შემდგომი განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების გასაზრდელად.

სკოლაში ხელმისაწვდომი იქნება ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურები (7-12 კლასები) მოსწავლეებისთვის საქართველოდან, რომლებიც მიიღებენ ეროვნულ დიპლომს, ხოლო საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამაზე (11-12 კლასები) სკოლა მოსწავლეებს მიიღებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნიდან. ორივე მიმართულება ეფუძნება ევროპული სწავლების პრინციპებს.

სკოლის მოდელის განსხვავებული გამოცდილება საქართველოში

- სკოლის მრავალფეროვანი შიდა და გარე სასწავლო სივრცეები **მოსწავლეებისთვის ქმნის მთელ რიგ უნიკალურ შესაძლებლობებს, ისწავლონ, იცხოვრონ და გაერთონ ერთად.**

- მრავალფეროვანი, **მიმზიდველი და მოქნილი სასწავლო გარემოს** მქონე ახალი კამპუსის მშენებლობას საფუძვლად უდევს განათლების თანამედროვე მიდგომები და ის საქართველოში სკოლების პროექტირების სრულიად ახალ სტანდარტებს ადგენს.

- სკოლის ახლებური დიზაინი მდგრადობისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობებს ქმნის, რითაც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა თანამშრომლობას, ასევე მოსწავლეების ჩართულობასა და პარტნიორობას.

განათლების ინოვაციური მოდელი

- სკოლის ორგანიზაციული მოდელით განსაზღვრულია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება **პრაქტიკული, პროექტის ტიპის აქტივობებით,** რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მონაწილეობა მიიღონ საკუთარი განათლების ფორმირების პროცესში.

- ამავდროულად, მოდელი ხელს უწყობს არა მხოლოდ ცოდნის მიღებას, არამედ ისეთი კომპეტენციებისა და მახასიათებლების განვითარებას, რაც დაეხმარება მოსწავლეებს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, განვითარებასა და საკუთარი თავის ნებისმიერ გარემოში დამკვიდრებაში.

- ქართული სექტორის მართვისას სკოლა დაეფუძნება საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამის ევროპულ ღირებულებებსა და პრაქტიკაზე დაფუძნებულ სპეციფიკას, რათა **უახლესი, თანამედროვე ეროვნული კურიკულუმის ბაზაზე მოსწავლეებმა მიიღონ საუკეთესო განათლება.**

სასწავლო აკადემია, როგორც პრაქტიკულ სწავლებაზე დაფუძნებული პროფესიული განვითარების შესაძლებლობა

- სასწავლო აკადემია შექმნის **მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების რეგიონულ ჰაბს. სასწავლო აკადემიის პროფესიული განვითარების** აქტივობები დაეხმარება მასწავლებლებს **სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მიდგომების გამოყენებასა** და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკის დანერგვაში.

- კარგად მომზადებული, მაღალკვალიფიციური მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელობა, როგორც ცვლილების აგენტები, **დადებით ზეგავლენას მოახდენენ სკოლების საგანმანათლებლო პრაქტიკასა და მიმდინარე რეფორმებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.**

მაღალი ხარისხის განათლება XI და XII კლასების მოსწავლეებისთვის

- სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსი ქვეყნის მოსწავლეებს სკოლა შესთავაზებს ევროპულ სწავლებაზე ორიენტირებულ საერთაშორისო ბაკალავრიატის სადიპლომო პროგრამას.

- მოსწავლეები ისარგებლებენ **სწავლების ინოვაციური მეთოდებით და შემდგომი განათლებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობებით.**

კამპუსის ხედვა

იდენტობა

გამორჩეული კამპუსის შექმნა, რომელიც ხელს უწყობს სწავლის, ცხოვრებისა და გართობის უნიკალური გამოცდილების მიღებას. კამპუსი მთლიანი არქიტექტურული და ლანდშაფტის დიზაინის განუყოფელი ნაწილია, რითაც აკმაყოფილებს მის სიმბოლურ და ფუნქციურ მიზანს.

მოქნილობა და ადაპტაციის უნარი

აკადემიური და გარე სივრცეები ისეა შექმნილი, რომ შესაძლებელი იყოს მათი ადაპტირება მრავალფეროვანი და ცვლადი საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად. გარე სადგომები, საკოლაბორაციოსივრცეები, სასწავლო სტუდიები და ოთახები სპეციალური საჭიროებებისთვის, საერთო სასწავლო სივრცეები, ჯგუფებში მუშაობისთვის განკუთვნილი ოთახები და მშვიდი ზონები ხელს უწყობს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების ეფექტურად და მოქნილად გამოყენებას.

მთლიანობა

შენობების წყობა, ზომა და ფორმა, ფანჯრების განლაგება, ლანდშაფტისა და შიდა სივრცეების მოწყობა - ეს ყველაფერი ერთიანი დიზაინის ნაწილია და ქმნის კამპუსის მთლიანობას.

შიდა და გარე სივრცეების დაკავშირება

სასწავლო ზონები, შენობების გარე პერიმეტრი და მთლიანად სკოლის ტერიტორია ურთიერთკავშირშია. სკოლის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მწვანე სივრცეები, წყნარი ზონები დასვენებისა და მედიტაციისთვის, მრავალფეროვანი ხედები და კეთილმოწყობილი ბილიკები ფეხით მოსიარულეთათვის.

თანამშრომლობა

მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის შექმნილია ყველა პირობა თანამშრომლობის, ინტერაქციის, ჯგუფური თუ ინდივიდუალური სწავლების, ასევე, ჯგუფური აქტივობებისთვის როგორც შიდა, ისე გარე სივრცეებში.

მდგრადობა

შენობები დაპროექტებულია ისე, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ენერგომოხმარება და მაქსიმალურად იყოს გამოყენებული ადგილობრივი რესურსები.

ევროპის
სკოლა
თბილისი